მულტიდისციპლინური გუნდის მუშაობა და შემთხვევის მართვა პრობაციის სახის სამართლებრივი აქტებისა და არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების პროცესში

მაია ფაჯიშვილი

ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური მუშაობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სოციალური სამუშაო

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მეცნიერებათა დოქტორი - შორენა საძაგლიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2015

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომიმ წარმოადგენს
ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს,
რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების
შესაბამისად.

მ.ფაჯიშვილი. 06.07.2015 წ.

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი ეხება იმ პრობლემებისა და ხელისშემშლელი ფაქტორების წარმოჩენას, რაც ხელს უშლის მულტიდისციპლინური გუნდის ეფექტურ მუშაობას, მულტიდისციპლინური გუნდის წევრების თანამშრომლობის ხარისხისა და გუნდური მუშაობისთვის ხელისშემშლელი ფაქტორების განსაზღვრას.

კვლევაში მონაწილეობდა 30 რესპონდენტი, მათ შორის ათი პრობაციის ოფიცერი, ათი სოციალური მუშაკი და 10 ფსიქოლოგი.

წინასწარ გამოთქმული იყო გარკვეული ვარაუდები მულტიდისციპლინური გუნდის არაეფექტური მუშაობის შესაძლო მიზეზებთან დაკავშირებით. კვლევის შედეგად ზოგიერთი ვარაუდი დადასტურდა, ზოგი კი უფრო მწვავე სახით წარმოჩინდა, ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ გამოიკვეთა სხვა მოსაზრებებიც.